ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №7

18.03.2022 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
14:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
3. მიხეილ კაკაურიძე - კომისიის წევრი;
4. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“, საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **(12-032207584-03; 16.03.22);**
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **(12-032204561-03; 14.02.22);**
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების

ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **(12-032204561-03; 14.02.22; 12-03220702-03;11.03.22);**

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **(12-03220564-03; 25.02.22);**
5. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-14 ნაწილებით, 125 2 მუხლით და 135 3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **(12-03220564-03; 25.02.22);**
6. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **(12-03220564-03; 25.02.22);**
7. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12- მე-16 ნაწილებით, 134-ე მუხლით (მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებში), 135-ე-135 5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 135 1 –135 5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვაანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **(12-03220565-03; 25.02.22);**

8. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **(12-032207596-03;16.03.22);**
9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ **(12-03220593-03; 28.02.22);**
10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ **(12-03220593-03; 28.02.22);**
11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე **(12-03220593-03; 28.02.22).**

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **შალვა ოგბაიძე.**

მომხსენებლები:

- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე;
- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

შ.ოგბაიძემ მომხსენებლებს სთხოვა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების წარმოდგენა.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“, საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032207584-03; 16.03.22):**

სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე **ვ.აბულაძე** მიესალმა კომისიის წევრებს და წარადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.

როგორც მან აღნიშნა, განსახილველ დადგენილების პროექტში ცვლილებები განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით სამგზავრო/მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფებსა და ფასდაკლების სისტემაში განხორციელდა ცვლილებები. ასევე, დადგენილების პირველ მუხლში განხორციელებული ცვლილებით, პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით, ასევე, ამავე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ტარიფები ჩაირიცხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ანგარიშზე, ვინაიდან მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში არსებული ტარიფების ჩარიცხვა ხდება ამავე სააგენტოს ანგარიშზე.

თუმცა, როგორც **ვ.აბულაძემ** აღნიშნა, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში არ არის ჩართული საბაგირო გზებით „რიყე-ნარიყალა“ და „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრობა, მაგრამ მათი მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში და აღნიშნულით მოხდება ყველა ტრანსპორტში გადახდილი ტარიფის

სააგენტოს ანგარიშზე ჩარიცხვა, რომელიც გამოყენებული იქნება მომსახურების ინტეგრირებული სისტემის ანაზღაურებისათვის.

ვ.აბულაძემ განმარტა, რომ №20-81 დადგენილებით განსაზღვრულია იმ პირთა წრე, რომლებიც საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას სარგებლობენ უფასო ან შეღავათიანი ტარიფებით, თუმცა ამ დრომდე, დადგენილება არ ითვალისწინებდა უფასო მგზავრობის უფლებას შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ თანამშრომლებისთვის. წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით კი, უფასო მგზავრობის უფლება მიენიჭებათ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ თანამშრომლებსაც.

ასევე, **ვ. აბულაძემ** აღნიშნა, რომ პროექტის თანახმად, უფასო და შეღავათიანი მგზავრობით მოსარგებლე კატეგორიების პირებისთვის დგინდება კალენდარული თვის განმავლობაში დადგენილებით განსაზღვრული ყველა სახის ტრანსპორტით ჯამში მაქსიმალური რაოდენობის მგზავრობა რიგ შემთხვევაში 100, ხოლო რიგ შემთხვევაში 200 მგზავრობის ოდენობით.

რაც შეეხება დადგენილების ამოქმედების საკითხს, **ვ. აბულაძემ** განმარტა, რომ დადგენილება ამოქმედდება 2022 წლის პირველი აპრილიდან, ხოლო, დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება, რომელიც ითვალისწინებს საბაგირო გზებით „რიყე-ნარიყალა“ და „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრობისას გადახდილი ტარიფის სააგენტოს ანგარიშზე ჩარიცხვას, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდება 2022 წლის პირველი მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“, საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და

საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032207584-03; 16.03.22)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032204561-03; 14.02.22)**:

ვ.აბულაძემ წარადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი. როგორც მან აღნიშნა, უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე პირთა კუთვნილი სამგზავრო პლასტიკური ბარათების სხვა პირების მხრიდან გამოყენების გახშირებული ფაქტების აღკვეთის მიზნით, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად აზარალებს დედაქალაქის ბიუჯეტს, ცვლილებები შედის დადგენილებაში და ბარათის ფუნქციის დაბლოკვის ვადა 6 თვიდან 1 წლამდე იზრდება (აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ბარათი ექვემდებარება ავტომატურ, უფასო განბლოკვას). ამასთან, ახალი ვადიანი სამგზავრო ბარათების არაუფლებამოსილი პირების მხრიდან გამოყენების აღკვეთის მიზნით, დადგენილებაში დეტალურად იქნება გაწერილი ზემოაღნიშნულ შემთხვევებში განსახორციელებელი ღონისძიებები.

კომისიის სხდომაზე, საკითხის მომხსენებელმა ითხოვა დადგენილების ამოქმედების თარიღის ცვლილება.

კომისია დაეთანხმა მომხსენებლის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას და მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების მეორე მუხლის ფორმულირება შემდეგი სახით: <u>„დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე“.</u>

წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა

საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032204561-03; 14.02.22)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტები **(12-032204561-03; 14.02.22; 12-03220702-03; 11.03.22):**

ვ.აბულაძემ პროექტის (**12-032204561-03; 14.02.22**) წარდგენისას აღნიშნა, რომ №20-82 დადგენილებით დამტკიცებულ წესში ხორციელდება ტექნიკური ხასიათის დაზუსტება და ეთითება ტერმინი „ტარიფი/ფასი“.

საკითხის მომხსენებელმა ითხოვა დადგენილების ამოქმედების თარიღის ცვლილება.

კომისია დაეთანხმა მომხსენებლის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას და მიზანშეწონილად მიიჩნია, დადგენილების მეორე მუხლის ფორმულირება შემდეგი

სახით: „დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე“.

რაც შეეხება პროექტს (**12-03220702-03; 11.03.22**), **ვ.აბულაძემ** განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში წარადგინა „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც, ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განისაზღვრა 2025 წლის პირველ აპრილამდე, ხოლო, ნებართვის გაცემის ფასი 2017 წლის პირველი მაისიდან 2025 წლის პირველ აპრილამდე განისაზღვრება 15 (თხუთმეტი) ლარის ოდენობით.

დადგენილება ამოქმედდება 2022 წლის პირველი აპრილიდან.

წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტები **(12-032204561-03; 14.02.22; 12-03220702-03; 11.03.22)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03220564-03; 25.02.22):**

როგორც პროექტის წარდგენისას **ვ.აბულაძემ** განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დებულებაში ცვლილების საჭიროება დადგა იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო დროს, საგრძნობლად იმატა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგიერთი მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების რაოდენობამ. შესაბამისად, მიჩნეულ იქნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, უნდა მიენიჭოს 125[2] მუხლით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალების პარკირების წესების დარღვევა) და 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (უბილეთოდ მგზავრობა მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსებით (M_2 და M_3 კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“) გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის, აგრეთვე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გამოწერის უფლებამოსილება.

დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების პროექტი **(12-03220564-03; 25.02.22)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-14 ნაწილებით, 125 2 მუხლით და 135 3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03220564-03; 25.02.22):**

როგორც საკითხის წარდგენისას **ვ.აბულაძემ** განმარტა, დადგენილებაში ცვლილებების განხორციელების საჭიროება დადგა, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შევიდა ცვლილება და 125-ე მუხლს დაემატა მე-15 (ტაქსის პარკირებისთვის განკუთვნილ ადგილზე იმ სატრანსპორტო საშუალების პარკირება, რომელზედაც ტაქსით გადაყვანის ნებართვა გაცემული არ არის და რომლის ტაქსის პარკირებისთვის განკუთვნილ ადგილზე პარკირება მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს მიერ დაშვებული არ არის, გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით) და მე-16 ნაწილები (სატრანსპორტო საშუალების გზაზე მიტოვება გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით), რომლებზეც, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი.

დადგენილების პროექტით წარმოდგენილი ცვლილებები ითვალისწინებს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის“ დამატებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-15 და მე-16 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენის შემთხვევაში ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შევსების უფლებამოსილების მინიჭებას. ამასთანავე ახალი ფორმით მტკიცდება დადგენილების დანართი №6 (ელექტრონული საჯარიმო ქვითარი).

კომისიის სხდომაზე, საკითხის მომხსენებელმა ითხოვა დადგენილების ამოქმედების თარიღის ცვლილება.

კომისია დაეთანხმა მომხსენებლის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას და მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების მეორე მუხლის ფორმულირება შემდეგი სახით: „დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 1 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე".

წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-14 ნაწილებით, 125 2 მუხლით და 135 3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03220564-03; 25.02.22)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03220564-03; 25.02.22):**

როგორც **ვ.აბულაძემ** აღნიშნა, ვინაიდან, განსაკუთრებით მომატებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^2 მუხლით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალების პარკირების წესების დარღვევა) და 130-ე მუხლის მე-4

ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა, მიწისზედა ელექტროტრანსპორტით (ტროლეიბუსი, ტრამვაი), მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებით გამოიწვევს დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით) გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტები, მათი აღკვეთის ხელშეწყობისათვის მიზანშეწონილია ცვლილებები შევიდეს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“, M3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობის, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანის შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენასთან ერთად მიენიჭოს უფლებამოსილება საჯარიმო ქვითარი შეადგინოს მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის ავტობუსებით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ უბილეთო მგზავრობის, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანის შემთხვევებშიც.

ვ.აბულაძის განმარტებით, სწორედ ზ/ა გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შემუშავება.

კომისიის სხდომაზე, საკითხის მომხსენებელმა ითხოვა დადგენილების ამოქმედების თარიღის ცვლილება.

კომისია დაეთანხმა მომხსენებლის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას და მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების მეორე მუხლის ფორმულირება შემდეგი სახით: <u>„დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 1 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე”.</u>

წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03220564-03; 25.02.22)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

7. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12- მე-16 ნაწილებით, 134-ე მუხლით (მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებში), 135-ე-135 5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 135 1 –135 5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვაანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03220565-03; 25.02.22):**

საკითხის წარდგენისას **ვ.აბულაძემ** აღნიშნა, რომ განსაკუთრებით მომატებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^2 მუხლით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალების პარკირების წესების დარღვევა) და 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა, მიწისზედა ელექტროტრანსპორტით (ტროლეიბუსი, ტრამვაი), მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებით) გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტები, მათი აღკვეთის ხელშეწყობისათვის კი მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, ასევე მიენიჭოს 125[2] მუხლით და 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის, აგრეთვე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გამოწერის უფლებამოსილება.

წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12- მე-16 ნაწილებით, 134-ე მუხლით (მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებში), 135-ე-135 5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 135 1 –135 5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვაანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03220565-03; 25.02.22)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

8. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის

შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032207596-03;16.03.22):**

როგორც **ვ.აბულაძემ** აღნიშნა, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ცვლილება შედის დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების შესახებ წესში.

განხორციელებული ცვლილებით, ნებართვის მფლობელს ეკისრება ვალდებულება დაიცვას ტაქსში დადგენილი თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის წესები და აღკვეთოს ამ წესების შეუსრულებლობის ფაქტები.

წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032207596-03;16.03.22)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03220593-03; 28.02.22):**

დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილემ **დ.ჯაიანმა** წარადგინა.

როგორც **დ.ჯაიანმა** საკითხის წარდგენისას აღნიშნა, მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიენიჭა უფლებამოსილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - განკარგულებით (შესაბამისი შეზღუდული ვადით), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, განახორციელოს მარშრუტების კორექტირება ან განსაზღვროს დროებითი მარშრუტი/მარშრუტები ან განახორციელოს ცვლილება მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობაში.

სწორედ ზ/ა გამომდინარე, მისივე თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, დროებითი ღონისძიების სახით, ამოქმედებული იქნა M_2 კატეგორიის ავტობუსების მარშრუტები, რომელთა ამოქმედებითაც განხორციელდა მათი სრული თანხვედრა დანართი 1-ით განსაზღვრულ მარშუტებთან და სრულად ჩაანაცვლა 54 მარშრუტი. ასევე, დაკორექტირდა ამჟამად მოქმედი **79** მარშრუტი.

კომისიის სხდომაზე, საკითხის მომხსენებელმა ითხოვა დადგენილების ამოქმედების თარიღის ცვლილება.

კომისია დაეთანხმა მომხსენებლის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას და მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების მეორე მუხლის ფორმულირება შემდეგი სახით: „დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე“.

წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03220593-03; 28.02.22)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03220593-03; 28.02.22):**

შემდეგი საკითხის წარდგენისას, **დ.ჯაიანის** განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილების პროექტში მომზადებული ცვლილებები ითვალისწინებს შემდეგს: მოქმედი დანართი 1-დან ამოღებული იქნება ავტობუსების **№5,16,26,35,48,57,64,65,66,67,69,74,76,77,80,81,82,104,109,110,122** მარშრუტები, რაც გამოიწვია მითითებული მარშრუტებზე ავტობუსის (M2 კატეგორია) მარშრუტების ამოქმედებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედ დანართი 1-ში გათვალისწინებული დანარჩენი მარშრუტები გადაყვანილი იქნება მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში და შეეცვლებათ ნუმერაცია, რის გამოც, დღის წესრიგში დგება დანართი 1-ის გაუქმების საჭიროება.

ასევე, როგორც **დ.ჯაიანმა** აღნიშნა, სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ამოქმედდება შემდეგი ხუთი მარშრუტი:

№319 მარშრუტი - მ/ს „ვარკეთილიდან“ ვაზისუბნის დასახლების გავლით სადგურის მოედნამდე; **№330 მარშრუტი** - ცაცა ამირეჯიბის ქუჩიდან ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩისა და გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩების გავლით მ/ს „ისნამდე“; **№333 მარშრუტი** - ვაზისუბნის დასახლებიდან თბილისი მოლის მიმართულებით; **№65 მარშრუტი** - მ/ს „ახმეტელის თეატრიდან“ დავით სარაჯიშვილის ქუჩის გავლით სოფელ გლდანის მიმართულებით; **№369 მარშრუტი** - მ/ს „გოცირიძიდან“ მ/ს „დიდუბის“ ზედა გასასვლელამდე (თორნიკე ერისთავის ქ. #1-ის მიმდებარედ).

წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა

საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03220593-03; 28.02.22)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03220593-03; 28.02.22):**

დ. ჯაიანის განმარტებით, პროექტი ითვალისწინებს დანართი 1-ის (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტები)) გაუქმებას, რომელიც „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილების მოქმედების საფუძველი იყო.

შესაბამისად, მისივე განმარტებით, დღის წესრიგში დადგა 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების საჭიროება, რომელიც არეგულირებდა ყვითელი მიკროავტობუსების მარშრუტების ტარიფებს. რადგანაც მოცემული ერთეულები აღარ არსებობს და დაინერგა ინტეგრირებული სისტემა, მოცემული დადგენილება უქმდება.

დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა

საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03220593-03; 28.02.22) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე